PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე

წევრები:

თამთა კვინიკაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. კვინიკაძე

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი ჰორიზონტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

.ა(ა)იპ კოლეჯმა „ჰორიზონტი“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტში წარმოადგინა განაცხადი რომ სურს 2021 წლის მიღებისათვის დაიმატოს ახალის აგანმანათლებლო პროგრამები ახალ მისამართზე (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟაული). ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 აპრილის N 333962 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ გაკეთებული განაცხადი პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით ახალ ლოკაციაზე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ სოფელ გორაბერეჟოულში, სადაც ავტორიზაცია არ აქვს მოპოვებული.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 19 აპრილს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათთან ერთად მე-4-ე და მე-5-ე სტანდარტის მიმართებაში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. წარმოების მიმდინარეობისას, ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ახალი გარემოს ონლაინ დათვალიერება: კოლეჯის ეზო, შენობის ექსტერიერი, სასწავლო აუდიტორიები და ადმინისტრაციის წარმომადგენლების სამუშაო ოთახები, რომელიც დისტანციური ვიზიტის პერიოდში არ იყო აღჭურვილ, სასწავლო სახელოსნოები, ბიბლიოთეკა, ექთნის ოთახი, სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სველი წერტილები და შენობაში განთავსებული სხვა სივრცეები.

აღსანიშნავია რომ დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის თანახმად დაწესებულება მე-4 და მე-5 სტანდარტებთან მიმართებაში შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტის მოთხოვნებთან თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა შესაბამისობის გეგმები, ექსპერტებმა შეისწავლეს გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმები და მეოთხე და მეხუთე სტანდარტის კომპონენტები შეაფასეს მეტწილად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ავტორიზაციის მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
4) ადამიანური რესურსები	**(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)**	**(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		მეტწილი
4.2) პერსონალის განვითარება		მეტწილი
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		მეტწილი
5.2) საინფორმაციო რესურსები		მეტწილი

შენიშვნა: ექსპერტთა მხრიდან მე-4 სტანდარტი შეფასდა მეტწილად, ხოლო მე-5-ე სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტები შეფასდა მეტწილად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდაციები ამ წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილ ინდიკატორებთან მიმართებაში არ გაცემულა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX . სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

<u>სტანდარტი 4</u>

<u>კომპონენტი4.1და4.2</u>

დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, გორაბერეჟაულის მისამართზე, დაწესებულებას არ ჰქონდა დასრულებული პერსონალის შერჩევის პროცესი და თანამშრომლები ჯერ არ იყვნენ შრომით ურთიერთობაში კოლეჯთან. დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, 4.1.2 კომპონენტის 2-ე ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა კოლეჯის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები რომლის სრულყოფას გეგმავს სავარაუდოდ მიმდინარე წლის 15 ოქტომბრისათვის. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორები მეტწილად შესაბამისია. (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორების 4.1. და 4.2)

<u>ინდიკატორი 4.1.1.3</u>

ექსპერტთა მიერ, დასკვნის პროექტში, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქცია მოვალეობებით გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტი, მის მიერ შესრულებულ საქმიანობასთან - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქცია - მოვალეობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

როგორიცაა მაგალითად: პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავებაში რაც ინტერესთა კონფლიქტში მოდის პროგრამის მონიტორინგთან რაც ასევე არის მის ფუნქციებში ასახული, თუმცა დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც ექსპერტების მიერ გაკეთებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ასახა რომ ეს ჩანაწერი იყო ტექნიკური ხარვეზი წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და რომ ხარისხის მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი ახორციელებენ კოლეჯში ხარისხის მართვას, ასევე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გაწერილია აქტივობები, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს მარეგულირებელი დოკუმენტების და თანამშრომელთა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქციების გადახედვა/გასწორებას, რის თანახმადაც აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო არის მიმდინარე წლის 10 ივნისი, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ აღნიშნული შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. (იხ.დეტალური აღწერა ინდიკატორი 4.1.1.3)

<u>ინდიკატორები5.1.1.1და5.1.1.2</u>

დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულება არ იყო აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსით და ასევე დაწესებულებას არ წამოუდგენია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სხვა გამოთხოვილ დოკუმენტებთან ერთად, შესაბამისად დასკვნის პროექტში აღნიშნული შეფასდა შეუსაბამოდ, თუმცა დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები დაწესებულების, გორაბერეჟაულის ფართის მატერალური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და სავარაუდოდ დრო მატერიალური რესურსით აღჭურვის დასრულების შესახებ არის მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი, რომელიც ასევე დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული მეტწილად შესაბამისია. (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.1.1 და 5.1.1.2)

<u>ინდიკატორი 5.1.1.5</u>

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულების მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, რომელიც ცალსახად გორაბერეჟაულის მისამართზე თანამშრომელთა აყვანას გულისხმობს, არ იყო გაწერილი შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის შესახებ ინფორმაცია. თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რაც გულისხმობს შესაბამის პოზიციაზე თანამშრომლის შერჩევას და დანიშვნას. დაწესებულების მიერ მოცემული აქტივობის შესრულებისათვის განსაზღვრული დრო არის მიმდინარე წლის 27 სექტემბერი, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან აღნიშნული შეფასდა მეტწილად. (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.1.5)

<u>ინდიკატორი 5.1.1.11</u>

დაწესებულებაში, გორაბერეჯოულის ფართზე, ბიბლიოთეკაში არ არის ხელმისაწვდომი მატერიალური და ელექტრონული რესურსი და ვიზიტის დროს სტანდარტთან შესაბამისობა არ იყო გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, შესაბამისად დასკვნის პროექტში აღნიშნული შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები, კერძოდ დაწესებულების არჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით, მათშორის ბიბლიოთეკის ინვენტარით, და სავარაუდო დრო, რომელიც მიმდინარე წლის 15 ოქტომბრით თარიღდება, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული შეფასდა მეტწილად. (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.1.11)

<u>ინდიკატორი 5.1.2.1</u>

დასკვნის პროექტში ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან არ იყო დაწესებულების, გორაბერეჯაულის მისამართზე, შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შესახებ, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებულ წერილთან ერთად შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა „კოლეჯის მიერ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება“, აქტივობის სრყლყოფისათვის დაწესებულების მიერ სავარაუდოდ დროდ გაწერილია მიმდინარე წლის 30 ივლისი, ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუციების სამსახურთან მიწერილობის ასლი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული შეფასდა მეტწილად. *(*იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი *5.1.2.1)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>ინდიკატორი 5.1.2.2</u>

დასკვნის პროექტში ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან არ იყო დაწესებულების, გორაბერეჯოულის ფართზე მედდის კაბინეტი უზრუნველყოფილი შესაბამისი აღჭურვილობით და ვიზიტის დროს ასევე სტანდარტთან შესაბამისობა არ იყო გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წარმოდგენილ არგუმენტირებულ წერილს თან დაურთო შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები მათ შორის მედდის კაბინეტისათვის საჭირო რესურსბის ჩამონათვალი, რომლის შესყიდვის დასრულების დროდ გაწერილია მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული შეფასდა მეტწილად. (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.2.2)

<u>ინდიკატორები - 5.2.1.1</u>

დასკვნის პროექტში ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ რადგან დაწესებულების, გორაბერეჯოულის ფართზე დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს არ იყო IT ინფრასტუქტურა და ასევე სტანდარტთან შესაბამისობა არ იყო გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წარმოდგენილ არგუმენტირებულ წერილს თან დაურთო შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები რაც დაწესებულების გორაბერეჟაულის მისამართზე IT ინფრასტრუქტურის შეძენას და აღჭურვას გულისხმობს რომლის დასრულების დროდ გაწერილია მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული შეფასდა მეტწილად. (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.2.1.1)

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი5.1.1.7

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია : ხარისხის მართვის მექანიზმი არ ითვალისწინებს რესურსების შეფასებასა და განვითრაებაში ჩართულობას ხარისხის მართვის მენეჯერის / ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის, თუმცა მატერიალური რესურსის მართვის სარგებლობის განკარგვის წესში არის გაწერილი ხარისხის სპეციალისტის ფუნქციად., მატრერიალური რესურსების სპეციალისტთან ერთად. სასურველია დაწესებულებამ შესაბამისობაში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>მოიყავნოს ერთმანეთთან ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და მატერიალური რესურსის მართვის სარგებლობის განკარგვის წესი.</u>
(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორების 5.1.1.7)

XI. სტანდარტების შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**
2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**
3. **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

კომპონენტის / კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

პსდ-ს დამტკიცებული და ვებგვერდზე განთავსებული აქვს კოლეჯის სტრუქტურა, ასევე , ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 22 მარტის No04-38 (კოლეჯი „ჰორიზონტი) და No04-39 (გორაბერეჟაულის სასწავლო ფართი) ბრძანებებით დამტკიცებულია კოლეჯის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა, დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N04-136 ბრძანებით დამტკიცებულია თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები, რომელშიც განსაზღვრულია დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, აღსანიშნავია რომ დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N 04-37 ბრძანებით მოხდა ცვლილების შეტანა თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციებში, რომლის თანახმადაც განისაზღვრა იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობა და მოვალეოებები, რომლებიც კოლეჯის ოზურგეთის მისამართის პარალელურად პასუხისმგებლები არიან გორაბერეჟაულის მისამართზე შესასრულებელი სამუშაოებისა. კერძოდ, ბრძანებების თანახმად ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თანამშრომლები არიან: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი, შესყიდვების მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, იურისტი, საქმისმწარმოებელი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი/არქივარიუსი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, მძღოლი და მეეზოვე. *დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შესაბამისობის გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N04-33 ბრძანებით, რომლის თანახმადაც 6 (ექვსი) თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის სასწავლო ფართში ადამიანური რესურსის აყვანას: სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი; სასწავლო პროცესის და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი; მედდა; მატერიალლური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი. შესაბამისობის გეგმის თანახმად სავარაუდოდ დრო ზემოთ მოცემული აქტივობის დასრულებისა დაწესებულების მიერ განსაზღვრულია მიმდინარე წლის 27 სექტემბერი.*

ექსპერტთა მიერ მოცემული ინდიკატორი მეტწილად შეფასდა რადგან ახალ თანამშრომელთა შერჩევის პროცესი დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს მიმდიბნარეობდა და შესაბამისად დაწესებულება შრომით ურთიერთობაში ახალ თანამშრომლებთან, გორაბერეჟაულის მისამართზე, არ იმყოფებოდა.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N04-136 ბრძანებით დამტკიცებულია თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები, რომელშიც განსაზღვრულია დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, მიმდინარე წლის 25 მარტის N 04-37 ბრძანებით დირექტორის მიერ მოხდა ცვლილების შეტანა თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციებში, რომლის თანახმადაც განისაზღვრა იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობა და მოვალეობები, რომლებიც კოლეჯის ოზურგეთის მისამართის პარალელურად პასუხისმგებლები არიან გორაბერეჟაულის მისამართზე შესასრულებელი სამუშაოებისა, გარდა ამისა დირექტორის მიერ ხელმოწერილია დოკუმენტი, სადაც გაწერილია თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები გორაბერეჟაულის ფართზე, თუმცა დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, გორაბერეჟაულის ფართზე ახალი თანამშრომელების აყვანის პროცესები არ იყო დასრულებული. *დაწესებულებამ ექსპერტებს გააცნო დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც განისაზღვრება 6 (ექვსი) თვის ვადით და სავარაუდოდ მიმდინარე წლის 27 სექტემბრისათვის იქნება დასრულებული ეს პროცესი (ახალი თანამშრომლების აყვანა), შესაბამისად მოცემული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად ექსპერტების მიერ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღსანიშნავია, რომ ინსტრუქციები ისეა შემუშავებული, როგორც საერთო თანამშრომლებისათვის ორივე მისამართზე, ასევე გორაბერეჟაულის ფართზე განსაზღვრული ახალი თანამშრომლებისა, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, რაც აგრეთვე დასტურდება სამოქმედო გეგმით.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N04-136 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება-N04-37 – 25/03/2021) თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციების მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს: ხარისხის მართვის მენეჯერი ახდენს - ა) პროგრამების განხორციელებისა და გაუმჯობესების, პროფესიული სწავლების ხარისხის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავებას, პრორამების განხორციელების მონიტორინგს; ბ) კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შესახებ პერსონალის კონსულტირებას; გ) დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობების ავტორიზაციის სტანდართებთან შესაბამისობის მონიტორინგს; დ) საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებლების განვითარების ხელშწყობას; ე) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდბების დანერგვის ხელშეწყობას და სხვა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი(რომლის საქმიანობაც ასევე გავრცელდება გორაბერეჟაულის მისამართზე) ღებულობს მონაწილეობას: ა) სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემური სრულყოფის უზრუნველყოფაში; ბ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვაში; გ) პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავებაში; დ) საგანმანათლებლო პროცესის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგში და ე) პროგრამების განხორციელებისა და გაუმჯობესების, პროფესიული სწავლების ხარისხის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავებასა დ) პრორამების განხორციელების მონიტორინგის პროცესში.

დოკუმენტის შესწავლის შედეგად ექსპერტებმა შეაფასეს ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველუოფის სპეციალისტის (რომელის საქმიანობაც ასევე გავრცელდება გორაბერეჟაულის მისამართზე) ფუნქცია მოვალეოებები და იკვეთება რომ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ერთ ერთი ფუნქციაა პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა რაც ცალსახად წინააღმდეგობაში მოდის ხარისხის სამსახურის ფუნქციებთან. მოცემულ ინდიკატორთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობაში იქნას მოყვანილი.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ასევე დასტურდება რომ ხარისხის მართვის მენეჯერს დირექტორის ბრძანებით დაევალა გორაბერეჟაულის ფართზე ძირითადი საქმიონობის გავრცელება, რაც დასტურდება დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N04-136 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამტკიცებული თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციების მიხედვით, რომელშიც აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა ცვლილება მიმდინარე წლის 25 მარტს, N 04-37 ბრძანებით.

ექსპერტთა მიერ, დასკვნის პროექტში, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქცია მოვალეობებით გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტი, მის მიერ შესრულებულ საქმიანობასთან - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქცია - მოვალეობა როგორიცაა მაგალითად: პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავებაში რაც ინტერესთა კონფლიქტში მოდის პროგრამის მონიტორინგთან რაც ასევე არის მის ფუნქციებში ასახული, თუმცა დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც ექსპერტების მიერ გაკეთებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ასახა რომ ეს ჩანაწერი იყო ტექნიკური ხარვეზი წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და რომ ხარისხის მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი ახორციელებენ კოლეჯში ხარისხის მართვას, ასევე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გაწერილია აქტივობები, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს მარეგულირებელი დოკუმენტების და თანამშრომელთა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქციების გადახედვა/გასწორებას, რის თანახმადაც აქტივობის დასრულების სავარაუდო დრო არის მიმდინარე წლის 10 ივნისი, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ აღნიშნული შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

დასტურდება(მტკიცებულება/ინდიკატორები):

ა) კოლეჯის დირექტორის მიერ No04-38 ბრძანებებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები;

ბ) კოლეჯის დირექტორის მიერ No04-39 ბრძანებებით დამტკიცებული ა(ა)პ კოლეჯში „ჰორიზონტი“ (გორაბერეჟაულის ფართი) დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები;

გ)დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N04-136 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება-N04-37 – 25/03/2021) თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები

დ) ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ - სტრუქტურით

ე) დაწესებულების დირექტორი მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა -დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N04-33 ბრძანებით,

ვ) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ზ) ხარისხის მართვის ინსტრუქცია

თ)დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმა

ი)გასაუბრების შედეგებით

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. კოლეჯში მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები დარეგულირებულია სხვადასხვა აქტებით: კოლეჯის შინაგანაწესი, თანამშრომელთა სამსახურებრივი ინსტრუქციები, კონკურსის წესი, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის No04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“. დაწესებულებაში კადრების შერჩევა განხორციელდა (პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დისტანციურად ვიზიტის დროს უკვე შერჩული იყო და დაწესებულებას ქონდა მათთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები) და გარკვეულ წილად გრძელდება კიდეც გორაბერეჟაულის მისამართისათვის, აღნიშნული წესის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსები და შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების კადრები, თუმცა დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს პროცესი არ იყო დასრულებული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული. დაწესებულებას აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავებული აქვს და დამტკიცებული დირექტორის მიერ შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სავარაუდოდ დრო მოცემული აქტივობის დასრულებისა განისაზღრება 27/09/2021 თარიღით (პერსონალის აყვანა გორაბერეჟაულის მისამართზე - შესაბამისობის გეგმა -დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N04-33 ბრძანებით,). დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და ზემოაღნიშნული აქტების შესაბამისად, რაც დასტურდება როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ასევე ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმებით და დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმით.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის No04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, როლმელშიც გაწერილია, პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და მიღება ადაპტაციის პროცესები, რომელიც გულისხმობს კადრების მოზიდვას ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპის დაცვით. კოლეჯში ვაკანსიის ან / და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში დირექტორი და დირექტორის მოადგილე გადახედავენ ორგანიზაციულ სტრუქტურას და თანამდებობრივ ინსტრუქციებს, თუ აღნიშნული პოზიცია პოზიცია სტრუქტურაში არ არსებობს, ან არ არსებობს შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქცია, აღნიშნულ პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადებამდე დირექტორი და მოადგილე (დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწვეული იქნას სხვა ადმინისტრაციის წევრი/წევრები) განიხილავენ აღნიშნულ პოზიციაზე რომელიმე არსებული თანამშრომლის დანიშვნის საკითხს. კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარტლებრივი აქტით-ბრძანებით ღებულობს გადაწყვეტილებას დასაქმების მსურველთა გასაუბრების შესახებ (დაწესებულებას აქვს შემუშავებული „დასაქამების მსურველი პირის შეფასების ფორმა (გასაუბრების შემთხვევაში)) ან/და კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ.დასაქმების მსურველთა პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი (დირექტორის გადაწყვეტილებით გასაუბრების ჩატარებაში შეიძლება მონაწილეობდნენ კოლეჯის დირექცია / ადმინისტრაციის წევრი / წევრები), კონკურსის შემთხვევაში საკონკურსო კომისია.

კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), შექმნილი საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება მინიმუმ 3 (სამი) წევრისგან. საკონკურსო კომისია დასაქმების მსურველი პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით ღებულობს გადაწყვეტილებას და შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს აღნიშნულ პოზიციაზე დასანიშნად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასაქმების მსურველთა გასაუბრების წესით შესარჩევად ვაკანსია ცხადდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ.გვერდზე www.horizonti.ge, გარდა კოლეჯის ვებ გვერდისა, ვაკანსიები იდება ასევე სოციალურ ქსელშიც და დაწესებულება ასევე ღებულობს მონაწილეობას დასაქმების ფორმუმეში. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა ის ფაქტიც, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე დარგში გამოცდილი პროფესიონალების მოზიდვის მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, განსახორციელებელი საგანამანათლებლო პროგრამების შესაბამის კომპანიებთან, აღნიშნული კომპანიების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებთან და შეიმუშავებს ამ მიმართულებით თანამშრომლების ე.წ. ადამიანური რესურსების გაცვლის მოქნილ და ეფექტურ მექანიზმებს.

<u>დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში პერსონალის შერჩევა გორაბერეჟაულის მისამართზე არ იყო დასრულებული, შესაბამისად ახალი თანამშრომლები არ იყვნენ დანიშნული (იხ. დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა),თუმცა აქვე აღსანიშნავია რომ დაწესებულების მიერ ახალი თანაშრომლების შერჩევა, მათ მიერ გაწერილი წესის შესაბამისად მიმდინარეობდა. ექსპერტების მიერ, ასევე, შესწავლილი იქნა იმ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც ორივე მისამართზე მოახდენენ საქმიანობის განხორციელებას, აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობასია მოქმედ კანონმდებლობასთან.</u>

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

დაწესებულებას აქვს დირექტორის 2018 წლის 29 აგვისტოს No 46/დ ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის საკვალიფიკაციო მინიმალური მოთხოვნები, სადაც გაწერილია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დისტანციურად ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოგვიდგინა ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმე, რომელთა საქმიანობაც ასევე გავრცელდება გორაბერეჟაულის მისამართზეც, რითაც დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციები, ხოლო რაც შეეხება გორაბერეჟაულის ფართზე დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალას, ისინი ჯერ არ არიან აყვანილები, პროცესი მიმდინარეა და გასაუბრებით დასტურდება რომ კოლეჯის ახალი თანამშრომლები შერჩეული იქნებიან კვალიფიკაციების შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემიშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. *<u>დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შესაბამისობის გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N04-33 ბრძანებით, რომლის თანახმადაც 6 (ექვსი) თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის სასწავლო ფართში ადამიანური რესურსის აყვანას: სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი; სასწავლო პროცესის და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი; მედდა; მატერიალლური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი. შესაბამისობის გეგმის თანახმად სავარაუდოდ დრო ზემოთ მოცემული აქტივობის დასრულებისა დაწესებულების მიერ განსაზღვრულია მიმდინარე წლის 27 სექტემბერი.</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4.პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

<u>კოლეჯის ღირებულებებია: თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართვა.</u> შესაბამისად, კოლეჯში მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება და წყდება გუნდური პრინციპით. რაც დასტურდება კოლეჯის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და ცალკეულ შეხვედრების ხელმოწერის ფურცლებით. დაწესებულების წარმოამდგენლებთან გასაუბრების დროს ჩანდა გუნდის ერთაიანი ჩართულობა სამუშაო შეხვედრის ორგანიზებაში, როგორც კოლეჯის „ჰორიზონტი“ ოზურგეთის მისამართზე ასევე გორაბერეჟაულის ფართზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ა) კოლეჯის დირექტორის მიერ No04-38 ბრძანებებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები;

ბ) კოლეჯის დირექტორის მიერ No04-39 ბრძანებებით დამტკიცებული ა(ა)პ კოლეჯში „ჰორიზონტი“ (გორაბერეჟაულის ფართი) დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები;

გ)დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N04-136 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება-N04-37 – 25/03/2021) თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები

დ) შრომითი ხელშეკრულებები;

ე)კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის No04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“

ვ) შინაგანაწესი;

ზ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადმინისტრაციული პერსოალის მიმართ.

თ) დაწესებულების დირექტორი მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა -დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N04-33 ბრძანებით,

ი)გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**
2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-სმიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;**
3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**
4. **პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**
5. **პსდ-შიწახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის No04-06 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელშიც დარეგულირებულია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის საკითხები. კოლეჯის წარმომადგენებთან გასაუბრებით ირკვევა რომ თანამშრომლები, რომელბიც ფუნქციურ დაქვემდებარებაში არიან პოზიციურად ერთმანეთთან, გარკვეული საჭიროებების შესაბამისად ახდენენ ურთიერთ საქმიანობების შეფასებას და საჭიროებისამებრ აძლევენ ერთმანეთს განმავითარებელ რეკომენდაციებს, შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ინდივიდუალირად ასევე ჯგუფებში კომპეტენტური პირის მიერ. ექსპერტების მიერ გადამოწმდა დოკუმენტი „ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომლის თანახმადაც ირკვევა რომ დაწესებულებაში თანამშრომელთა საქმანობის შეფასების მიზნით ხორციელდება ანგარიშგება უშუალო უფროსთან თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ხოლო წელიწადში ორჯერ II და IV კვარტლის ბოლოს, ინსტრუქციების შესაბამისად, თანამშრომლები ახორციელებენ წერილობით ანგარიშგებას დირექტორთან საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშეობით, (დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი „თანამშრომლის კვარტალური ანგარუშის წარდგენისა და შეფასების ფორმა“), რომელიც მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობას, პერსონალის წახალისებას და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავებას. დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ თანახმად პერსოალის განვითარება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შიდა ადამიანური რესურსის გამოყენებით, ასევე, შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრითა და სხვა პარტნიორი ან მაკონტროლებელი ორგანიზაციების მხარდაჭერით. კოლეჯის მიერ პერსონალის განვითარებაზე სახსრების განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია იდენტიფიცირებული საჭიროებები და მათი პრიორიტეტულობა (დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი ფორმა “თანამშრომელთა გადამზადების გეგმა“). მოცმული აქტივობები დასტურდება გასაუბრებითაც არსებულ დოკუმენტთან ერთად, თუმცა გამომდინარე იქედან რომ დაწესებულებას „ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“- დოკუმენტი დამტკიცებული აქვს მიმდინარე წლის 31 იანვრით, დოკუმენტში გაწერილი პროცედურები ჯერ არ არის სრულად განხორციელებული და მისი შესრულეის შესაბამისობის შემოწმება შესაძლებელი გახდება დოკუმენტის დამტკიცებიდან 6 თვეში.

<u>გამომდინარე იქედან, რომ ვიზიტის პერიოდში გორაბერეჟაულის მისამართზე კადრების შერჩევის პროცედურები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ზემოთ ხსენებული აქტივობები ახალი თანამშრომლებისათვის განხორციელდება პერსონალის შეჩევისა და მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რაც დასტურდება ასევე დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმით, რომლის თანახმადაც, წარმოდგენილი გეგმის ვადის შესაბამისად, რომლის სავარაუდო დასრულების დროდ მიჩნეულია მიმდინარე წლის 27 სექტემბერი, იქნება უკვე შერჩეული და დატრენინგებული პერსონალი გორაბერეჟაულის ფართზეც.</u>

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით; კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პერსონალის მართვის დოკუმენტში დარეგულირებულია პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის საკითხები. *<u>თუმცა გამომდინარე იქედან რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს პერსონალის მოძიება - შერჩევის ღონისძიებები გორაბერეჟაულის მისამართისათვის, აღნიშნულ აქტივობებს დაწესებულება მიმდინარე ეტაპის დასრულების შემდგომ განახორციელებს და შეიმუშავებს შესაბამის განვითარების გეგმას</u>*, რომლის შექმნის მეთოდოლოგიაც განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის No04-06 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“- დოკუმენტში.

<u>დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს ექსპერტები დაინტერესდნენ იმ პერსონალით რომელთა საქმიანობა ასევე გავრცელდება გორაბერეჟაულის მისამართზე, გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ: დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „ადამიანური რესურსის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ თანახმად პერსონალის განვითარება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შიდა ადამიანური რესურსის გამოყენებით, ასევე, შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრითა და სხვა პარტნიორი ან მაკონტროლებელი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

თუმცა გამომდინარე იქედან რომ დაწესებულებას „ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“- დოკუმენტი დამტკიცებული აქვს მიმდინარე წლის 31 იანვრით, დოკუმენტში გაწერილი პროცედურები ჯერ არ არის სრულად განხორციელებული, რადგან დოკუმენტის დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში შემუშავდება კითხვარები და მოხდება პერსონალის შეფასება შესაბამისად მისი შესრულების შესაბამისობის შემოწმება შესაძლებელი გახდება დოკუმენტის დამტკიცებიდან 6 თვეში. თუმცა აღსანიშნავია რომ დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს მათ მიერ განხორციელებული აქტივობები თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად, რომლის თანახმადაც დაწესებულების თანამშროემლიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით ან/და თვითონ თანამშრომლების ინიციატივით, იკვეთება საჭიროებები სხვადასხვა უნარების გასაუმჯობესებლად, რასაც თავის მხრივ დაწესებულება უზრუნველყოფს, როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრებით, შიდა რესურსების გამოყენებით ორგანიზებული ტრენინგებით და ასევე სხვა კომპეტენტური ორგანოების ჩართულობით, მათ შორის დონორი ორგანიზაციების.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას. სისტემატიურად ხორციელდება მათი კვალიფიკაციის ამაღლება. მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება როგორც კოლეჯის შიდა რესურსით, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა თუ სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, რაც დასტურდება შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის, სერტიფიკატებისა თუ ფოტომასალის საფუძველზე.

კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად გაწერილი აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, რომელის ორგანიზებას მოახდენს შიდა რესურსებით, მასწავლების სახლის მხარდაჭერით, რაც ასევე დასტურდება გასაუბრებით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით.

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის **2021 წლის 31 იანვრის No04-06 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელშიც გაწერილია თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი.** კოლეჯი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან შემდეგი პრინციპით: მაგ: ახალი მასწავლებლის შესასრულებელი ამოცანებიდან გამომდინარე ხდება მისი მხარდაჭერა: კოლეჯის საქმიანობის ძირთად რეგულაციებთან დაკავშირებით დირექტორის მოადგილის მიერ; ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქციებით განსაზღვრულია, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელების ჩართულობას სასწავლო პროცესში. უზრუნველყოს მათი კონსულტირება სწავლებისა და შეფასების მეთოდების, კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ ახალი თანაშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაცია მოხდება სხვადასხვა მეთოდებით, როგირცაა: შეხვედრები, კონსულტაციები ახალი თანამშრომლებისათვის და ა.შ.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის No04-06 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელშიც გაწერილია, რომ კოლეჯში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაწესებულების თანამშრომლები აქტიურად არინ ჩართულნი მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, ხდება მათი ინიციატივების განხილვა და არსებული რესურსების გათვალისწინებით წახალისება. თუმცა აღსანიშნავია რომ დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად ხდება დაგეგმვა და ორგანიზება შესაბამისი აქტივობების, სხვადასხვა უნარების გასაუმჯობესებლად, რასაც თავის მხრივ დაწესებულება უზრუნველყოფს, როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრებით, შიდა რესურსების გამოყენებით ორგანიზებული ტრენინგებით და ასევე სხვა კომპეტენტური ორგანოების ჩართულობით, მათ სშორის დონორი ორგანიზაციების თემატიკის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ა) კოლეჯის დირექტორის მიერ No04-38 ბრძანებებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები;

ბ) კოლეჯის დირექტორის მიერ No04-39 ბრძანებებით დამტკიცებული ა(ა)პ კოლეჯში „ჰორიზონტი“ (გორაბერეჟაულის ფართი) დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები;

გ)დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N04-136 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება-N04-37 – 25/03/2021) თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დ) შრომითი ხელშეკრულებები;

ე)კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის No04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“

ვ) შინაგანაწესი;

ზ) საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ.

თ) დაწესებულების დირექტორი მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა -დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N04-33 ბრძანებით,

ი) დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კ)გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულებისსაქმიანობაუზრუნველყოფილიაშესაბამისიინფრასტრუქტურითადამატერიალურირესურსითმინიმუმავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულებისინფრასტრუქტურა,მათშორისსაერთოსარგებლობისსივრცეებიდამატერიალურირესურსიდაწესებულებისმიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულებისმართლზომიერმფლობელობაშიარსებულიყველასივრცეშიდაცულიადასანიტარულ-ჰიგიენურინორმები;
4. შენობა-ნაგებობაუზრუნველყოფილიაცენტრალურიგათბობისსისტემით;
5. დაწესებულებაშიმოქმედებსკანონმდებლობითდადგენილიშრომისუსაფრთოხებისუზრუნველყოფისმექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხისუზრუნველყოფისშიდამექანიზმიითვალისწინებსდაწესებულებისრესურსებისრეგულარულშეფასებასადაგანვითარებას;
8. პსდ-სშენობა-ნაგებობაშიმოწყობილიაგამიჯნულისანიტარულიკვანძები,რომლებიცმუდმივადმარაგდებაწყლით,აქვსუწყვეტიგანათებადა ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველასასწავლოფართსდაბიბლიოთეკისსამკითხველოდარბაზსაქვსროგორცბუნებრივი(გარდასპეციფიურიმიზნებისთვისგამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

დაწესებულების მისამართია: მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელ გორაბერეჟაული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართზე (11100.00 კვ.მ.) განთავსებულ შენობა-ნაგებობაში. შენობა კოლეჯს გადმოცემული აქვს უზუფრუქტით და დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებითა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერით (საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 28.11.22.331],45 წლის ვადით). კოლეჯმა წარმოადგინა შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებული სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ, რომლის თანახმად არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:

1. ფოიე
2. კაბინეტი N1 მედდა
3. კაბინეტი N2 C გარემო - ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ლაბორატორია
4. კაბინეტი N3 A გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. კაბინეტი N4 A გარემო
6. კაბინეტი N5 A/B გარემო
7. კაბინეტი N6 დაცვა
8. კაბინეტი N7 C გარემო
9. კაბინეტი N8 B გარემო
10. კაბინეტი N9 C გარემო
11. კაბინეტი N10 A/C გარემო
12. კაბინეტიN11სამასწავლებლო
13. კაბინეტიN12ბიბლიოთეკა
14. კაბინეტიN13გასახდელიგოგოებისთვის,სველიწერტილები
15. კაბინეტიN14გასახდელიბიჭებისთვის,სველიწერტილები
16. კაბინეტიN15სივრცესტუდენტურიაქტიობებისთვის
17. დამხმარესათავსო
18. და ასევე პერსონალის სამუშაო სივრცე.

ახალ მისამართზე არ იყო გამოყოფილი სივრცე არქივისათვის, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, გამომდინარე იქედან რომ ეს სივრცე არის კოლეჯის ოზურგეთის მისამართზე შესაბამისად ფუნქციური დატვირთვა მისი იქნება ძველ მისამართზე. დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში შესაძლებლობა ქონდათ ექსპერტებს დაეთვალიერებინათ დაწესებულება, შესაბამისად გამოყოფილი სივრცეებით. კოლეჯს აქვს მოწესრიგებული ეზო, შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელები, სველი წერტილები, პანდუსები. დისტაცნიურად ჩართვის დროს კოლეჯის ძირითადი აღჭურვილობა, როგორიცაა ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა. დაწესებულება არ იყო აღჭურვილი სამუშაო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსით, მათ შორის სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდებით და სკამებით, დაფებით, პროექტორებით, კომპიუტერებით, მედდის კაბინეტისათვის და ბიბლიოთეკისათვის საჭიო მატერიალური რესურსით. აღსანიშნავია რომ ექსპერტებს გადაეგზავნათ ცენტრის მხრიდან შესაბამისობის გეგმა, რომელიც გორაბერეჟაულის ფართზე ახალი საგანამანათლებლო პროგრამების დამატების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფარგლებში ქონდა შემუშავებული დაწესებულებას და წარდგენილი ამავე წარმოებისთვის, თუმცა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ცალსახად ეკუთვნის მე-2-ე სტანდარტში მოცემულ აუცილებელ პროგრამების შესაბამის რესურსებს და ამავე გეგმაში არ იკითხება ზოგადი ინფრასტრუქტურით აღჭურვის საკითხი, რა კონკრეტულ ვადებში იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულება შესაბამისი რესურსით. *შესაბამისად დასკვნის პროექტში აღნიშნული შეფასდა შეუსაბამოდ, თუმცა დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები დაწესებულების, გორაბერეჟაულის ფართის მატერალური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და სავარაუდოდ დრო მატერიალური რესურსით აღჭურვის დასრულების შესახებ არის მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი, რომელიც ასევე დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული მეტწილად შესაბამისია.*

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

აღსანიშნავია რომ კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბრძანება 2021 წლის 25 მარტის 04- 33 „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მარეგულირებელი აქტების ჩოხატაურის გორაბერეჟაულის სასწავლო ფართზე გავრცელების შესახებ, გამომდინარე აქედან კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 თებერვლის 04-15 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მატერიალური რესურსის მართვის სარგებლობის და განკარგვის წესი, ასევე ვრცელდება გორაბერეჟაულის ფართზეც, რომლის თანახმადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება კოლეჯის / პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, *თუმცა დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა შემოწმება შესაბამისი მატერიალური რესურსების.*

დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულება არ იყო აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსით და ასევე დაწესებულებას არ წამოუდგენია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სხვა გამოთხოვილ დოკუმენტებთან ერთად, შესაბამისად დასკვნის პროექტში აღნიშნული შეფასდა შეუსაბამოდ, თუმცა დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები დაწესებულების, გორაბერეჟაულის ფართის მატერალური რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და სავარაუდოდ დრო მატერიალური რესურსით აღჭურვის დასრულების შესახებ არის მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი, რომელიც ასევე დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული მეტწილად შესაბამისია.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

დაწესებულების მიერ შემუშავებული *წესით რეგულირდება დაწესებულების ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.* წესში განსაზღვრულია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავები წესი და პერიოდულობა. კოლეჯში რეგულარულად (ყოველდღიურ რეჟიმში) განხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება. მყარი ნარჩენების გატანა და მოთავსება ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომლებიც მოთავსებულია შესაბამის დისტანციაზე. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცული იქნება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; წესის თანახმად ამ პროცესზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია კოლეჯის დამლაგებლებზე, ხოლო მათზე კონტროლი ამავე წესის თანახმად დავალებული აქვს მატერიალური რესურსების მენეჯერს. გამომდინარე იქედან რომ მატერიალური რესურსების მენეჯერი პასუხიმგებელია ასევე გორაბერეჟაულის ფართზე განხორციელებული საქმიანობისა, შესაბამაისად მოცემულ მისამართზეც დანუშნული დამლაგებელი დაექვემდებარება მას. დაწესებულებას უკვე ჰყავს შრომით ურთიერთობაში შესაბამისი თანამშრომელი დანიშნული.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

კოლეჯის მფლობელობაში არსებული ფართი *უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით,* რომელიც დასტურდება ონლაინ დათვალიერების, გასაუბრების შედეგებით და შპს სოკარ ჯორჯია გაზთან წარმოებული ანგარიშ ფაქტურით.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის, რომელიც ადგენს შრომის დაცვის ძირითად მოთხოვნებს, დასაქმებულთა ძირითად ვალდებულებებსა და აკრძალვებს. კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრულია შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი, როგორც კოლეჯის ოზურგეთის მისამართზე, ასევე გორაბერეჟაულის ფართზე, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰყავს შესაბამისი კადრი აყვანილი და ის შერჩევის პროცესშია. ახალი აყვანილი კადრის სამუშაო ვალდებულება განაწილდება ორივე მისამართზე და ახალი თანამშრომელი ორივე მისამართზე იქნება პასუხისმგებელი პირი, რაც დასტურდება დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემუშავებული დოკუმენტაციით აღნიშნული პირის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, *თუმცა დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულების მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, რომელიც ცალსახად გორაბერეჟაულის მისამართზე თანამშრომელთა აყვანას გულისხმობს, არ იყო გაწერილი შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის შესახებ ინფორმაცია. თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რაც გულისხმობს შესაბამის პოზიციაზე თანამშრომლის შერჩევას და დანიშვნას. დაწესებულების მიერ მოცემული აქტივობის შესრულებისათვის განსაზღვრული დრო არის მიმდინარე წლის 27 სექტემბერი, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან აღნიშნული შეფასდა მეტწილად.*

6.დაწესებულებაშიმოქმედებსსასწავლოპროცესისსაჭირომასალებითადანედლეულითშეუფერხებელიუზრუნველყოფისმექანიზმები;

მიმდინარე წლის 26 თებერვლლით, დირექტორის მიერ დამტკიცებული 04-15 ბრძანებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობის და განკარგვის წესი“ რომლის მეორე მუხლის თანახმად გაწერილია საჭირო მასალა ნედლეულის და მათ შორის მატერიალური რესუსრსის მოთხოვნის და უზრუნველყოფის პროცედურები, ასევე დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრით 04-198 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი“ და დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის 04-187 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და განტავსების წესი“, თუმცა *გამომდინარე იქედან რომ გორაბერეჟაულის ფართზე სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს, ექსპერტები მხოლოდ გაეცნენ დაწესებულების მიერ შემუშავებულ მექანიზმს და შესაბამისად მოხდა გასაუბრებაც დაწესებულების წარმომადგენლებთან, გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება ოზურგეთის მისამართზე განხორციელებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ხდება შეუფერხებლად, შესაბამისად გორავერეჟაულის მისამართზეც გავრცელდება შესაბამისი საქმინობა .*

7. ხარისხისუზრუნველყოფისშიდამექანიზმიითვალისწინებსდაწესებულებისრესურსებისრეგულარულშეფასებასადაგანვითარებას;

ექსპერტების მიერ შემოწმდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი სადაც არაა გაწერილი ხარისხის მართვის მენეჯერის ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ჩართულობა დაწესებულების რესურსების შეფასება - განვითარების პროცესში, თუმცა დაწესებულების დირექტორის მიმდინარე წლის 26 თებერვლის 04-15 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსის მართვის სარგებლობის და განკარგვის წესი. მოცემული დოკუმენტი მე-5-ე მუხლის მესამე ქვეპუნქტის თანახმად მატერიალური რესურსის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს ხარისხის მართვის სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია : სასურველია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და მატერიალური რესურსის მართვის სარგებლობის განკარგვის წესი.</u>

8.პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

<u>ონლაინ დათვალიერებით და შენობის აზომვითი ნახაზებით დასტურდება, რომ კოლეჯის შენობაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.</u> კოლეჯს აქვს ასასვლელი პანდუსი. სველი წერტილები განთავსებულია პირველ სართულზე (2-2 კაბინა ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის, მათ შორის, ორი ადაპტირებული სსსმ პირთათვის). სველი წერტილები მოწესრიგებულია სათანადო დონეზე და დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დისტანციურად ჩართვის დროს შენობის დათვალიერებით დასტურედება, რომ შენობა ახლად რეაბილიტირებულია და შესაბამისად კოლეჯის ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ პერსონალი იმუშავებს, ასევე ბიბლიოთეკა, *<u>უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.</u>*

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. კოლეჯში განთავსებული A, B და C სასწავლო აუდიტორიები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. *<u>ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.</u>*

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კოლეჯის ახალ მისამართზე გამოყოფილია სივრცე ბიბლიოთეკისათვის, რომელიც შესაბამისი რესურსით აღიჭურვება საგანამანთლებლო პროგრამების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი რომელიც გავრცელდება გორაბერეჟაულის მისამართზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტებისათვისაც, რომელშიც, გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. გორაბერეჟაულის მისამართზე წიგნებისა და ელ.რესურსების პროფესიული სტუდენტებისათვის მიწოდების ფუნქცია შეთავსებული ექნება სასწავლო პროცესების მენეჯერს, თუმცა წიგნების დამუშავებას საბიბლიოთეკო წესით მოახდენს კოლეჯის ოზურგეთის მისამართზე არსებული შტატით დამტკიცებული ბიბლიოთეკარი.

დაწესებულებაში, გორაბერეჟოულის ფართზე, ბიბლიოთეკაში არ არის ხელმისაწვდომი მატერიალური და ელექტრონული რესურსი და ვიზიტის დროს სტანდარტთან შესაბამისობა არ იყო გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, შესაბამისად დასკვნის პროექტში აღნიშნული შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები, კერძოდ დაწესებულების არჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით, მათ შორის ბიბლიოთეკის ინვენტარით, და სავარაუდო დრო არის იმდინარე წლის 15 ოქტომბრით თარიღდება, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული შეფასდა მეტწილად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ა) ამონაწერი რეესტრიდან;

ბ) შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;

გ) უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;

დ) ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია / აუდიტორიები, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები.

ვ) სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმი;

ზ) დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის 04-187 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოქმნლი ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი

თ) დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის 04-198 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და და განკარგვის წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ი) დირექტორის მიმდინარე წლის 26 თებერვლის 04-15 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსის მართვის სარგებლობის და განკარგვის წესი

კ) შესაბამისობის გეგმა

ლ)გასაუბრების შედეგები;

მ) ვიდეო ზარის საშუალებით დათვალიერების შედეგები

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „პონტიკა“ ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული შერსაბამისობის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. გორაბერეჟაულის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 28.11.22.331) განთავსებული სასწავლებლის შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედი დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება / ინსპექტირების ანგარიში. რომლის მიხედვითაც შენობის უსაფრთხოება დასტურდება. ასევე, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურებს.

<u>დაწესებულებას არ აქვს გორაბერეჟაულის მისამართზე. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შესახებ, შესაბამისად დასკვნის პროექტში ექსპერტთა შეფასებით</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან არ იყო დაწესებულების, გორაბერეჟაულის მისამართზე, შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შესახებ, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებულ წერილთან ერთად შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა „კოლეჯის მიერ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება“, აქტივობის სრულყოფისათვის დაწესებულების მიერ სავარაუდოდ დროდ გაწერილია მიმდინარე წლის 30 ივლისი, ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუციების სამსახურთან მიწერილობის ასლი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული შეფასდა მეტწილად.

2.დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დირექტორის მიერ 2014 წლის 5 აგვისტოს N6/დ ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი და მექანიზმები, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის. ასევე დაწესებულებას შტატით გორაბერეჟაულის მისამართზე დამტკიცებული აქვს მედდის პოზიცია, რომლისთვისაც გამოყოფილია კაბინეტი და შესაბამისად აღიჭურვება ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით თუ რესურსით, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური პირველადი დახმარების აღმოჩენას. დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში დაწესბულებას არ ყავდა შრომით ურთიერთობაში თანამშრომელი-მედდა, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო წლის დაწყებამდე. შესაბამისობის გეგმის სრულყოფის სავარაუდო დროდ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი. *დასკვნის პროექტში ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან არ იყო დაწესებულების, გორაბერეჯოულის ფართზე მედდის კაბინეტი უზრუნველყოფილი შესაბამისი აღჭურვილობით და ვიზიტის დროს ასევე სტანდარტთან შესაბამისობა არ იყო გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წარმოდგენილ არგუმენტირებულ წერილს თან დაურთო შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები მათ შორის მედდის კაბინეტისათვის საჭირო რესურსების ჩამონათვალი, რომლის შესყიდვის დასრულების დროდ გაწერილია მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული შეფასდა მეტწილად.*

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“დირექტორს აქვს დამტკიცებული ჩოხატაურის მინიციპალიტეტის გორაბერეჟაულის სასწავლო ფართის საგანგებო სიტუაციების მართვის წესი საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მეთოდების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტში გაწერილია ქცევის წესები საგანგებო სიტუაციების დროს. წესის თანახმად განსაზღვრულია, რომ კოლეჯის ყველა დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესებს და მის გაცნობას აფიქსირებდეს ხელმოწერით, ასევე დოკუმენტის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებულ სწავლების განხორციელებას ადგილზე 6 (ექვს) თვეში ერთხელ. კოლეჯი საგანგებო სიტუაციებისმართვის მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით იქმნება საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი, რომელიც ანგარიშვალებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე. დაწესებულებას გორაბერეჟაულის მისამართზე აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის შინაგანაწესი, რომლის გაცნობის ვალდებულება აქვს როგორც კოლეჯში დასაქმებულ ყველა პირს, ასევე ყველა პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯის საკუთრებაში, გორაბერეჟაულის მისამართზე, არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან. კოლეჯის შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული, ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. ჩანაწერები კონტროლდება შენობის განთავსებულ მონიტორზე. შენობის უსაფრთხორბას 24 საათის განმავლობაში იცავს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით დასტურდება, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- **საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დირექტორის მიერ 2014 წლის 5 აგვისტოს N6/დ ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი და მექანიზმები პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირის სამუშაო აღწერილობა;
- კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
- ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერჟაულის სასწავლო ფართის საგანგებო სიტუაციების მართვის წესით
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.
- დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა;
- შესაბამისბის გეგმა
- საგანგებო სიტუაციების სამსახურთან მიწერილობის ასლი
- გასაუბრების შედეგები;
- დათვალიერების შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**
2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ასევე დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის შედეგად უნდა აღინიშნოს რომ დაწესებულების გორაბერეჟაულის ფართი ამ ეტაპისათვის არ იყოს აღჭურვილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით მათ შორის IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, შესაბამისად მხოლოდ შეიძლება შეფასდეს დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით რომლის თანახმადაც არის გაწერილი ინფორმაცია, გორაბერეჟაულის მისამართზე,ავტორიზაციის მოპოვების, ახალი საგანამანათლებლო პროგრამების დამატების, ფართის აღჭურვისა და პერსონალის (მათ შორის პროფესიული პროგრამების განმახორციელებილი პირები) შერჩევისა და დაკომპლექტების შესახებ, რომელიც არის დირექტორის პასუხისმგებლობით განსახორციელებელი აქტივობა შესაბამისი სამსახურებთან ერთად, როგორიცაა მაგ: შესყიდვების მენეჯერი, დირექტორის მოადგილი, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი და ა.შ., მოცემული ღონისძიებების სრულყოფისათვის დაწესებულებას აქვს დრო აგვისტოს ჩათვლით განსაზღვრული და ფინანსსური უზრუნველყოფა დამოკიდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროზე. თუმცა ექსპერტებს არ ქონდათ საშუალება გაცნობოდნენ როგორც, დაწსებულების მიერ გაწერილ ბიუჯეტს მოცემული საქმიანობის ფარგლებში ასევე მიმდინარე სამუშაობის შესრულების პროცესს ან ეტაპებს.სასწავლო პროცესის დაწყებამდე ფართი აღიჭურვება შესაბამისად.

<u>დასკვნის პროექტში ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ რადგან დაწესებულების, გორაბერეჯოულის ფართზე დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს არ იყო IT ინფრასტუქტურა და ასევე სტანდარტთან შესაბამისობა არ იყო გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წარმოდგენილ არგუმენტირებულ წერილს თან დაურთო შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები რაც დაწესებულების გორაბერეჟაულის მისამართზე IT ინფრასტრუქტურის შეძენას</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>და აღჭურვას გულისხმობს რომლის დასრულების დროდ გაწერილია მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული შეფასდა მეტწილად.</u>

2.პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

დაწესებულების დირექტორის მიერ 2021 წლის 31 იანვრის 04-4 ბრძანებით დამტკიცებულია „IT რისკების მართვის პოლიტიკა“, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა პროცესის მართვას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს, კოლეჯის ადმინისტრაციულ საქმიანობას. ამასთან კოლეჯი საინფორმაციო პლატფორმების საშუალებით (https://horizonti.ge/ , Gmail, Facebook და Tams, Zoom) უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა / მსმენელთა და პერსონალის ერთიან საკომუნიკაციო სივრცეს.

დაწესებულებას ჰყავს IT მენეჯერი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს *<u>დაწესებულების შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებით,</u>* რომელიც უზრუნველყოფს IT რისკების მართვას. კოლეჯში, ოზურგეთის მიმსართზე, ყველა კომპიუტერზე დაყენებულია IT ვირუსისგან დამცავი სისტემა, რომელიც პერიოდულად ახლდება. IT მენეჯერთან გასაუბრებით დასტურდება რომ დაწესებულება იღებს მონაწილეობას პროექტში როემლიც ეხმარება პროფესიულ საგანამანთლებლო დაწესებულებებს IT რისკების მართვისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სრულყოფაში. პროექტის დასრულების შემდგომ დაწესებულება აღიჭურვება შესაბმისის სერვერული სისტემით, რომელიც სრულყოფილად უზრუნველყოფს IT რისკებისა და პერსონალის მონაცემების დაცვას.

<u>ექსპერტთა მიერ გასაუბრებით და შესაბამისი ბრძანებითაც, დასტურდება, რომ გორაბერეჟაულის მისამართზეც და ოზურგთის მისამართზეც საქმიანობას განახორციელებს მოქმედი IT მენეჯერი, რომელსაც ბრძანებით დაევალა ახალ მისამართზე სამუშაოს შესრულება.</u>

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია პერსონალთან და სტუდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში და შესაბამისად კოლეჯი იცავს მას. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2020 წლის 20 ოქტომბრის 04-176 ბრძანებით განისაზღვრება „პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი“, რომელიც შესაბამისობაშია კოლეჯის „ჰორიზონტი“ წესდების მე-4-ე მუხლისს „თ“ პუნქტთან და ამ წესის მიზანია პერსონალის მონაცემების დამუშავებისას უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა „პერსონალის მონაცემების დამუშავებაზე“, რის თანახმადაც მოიპოვებს დაწესებულება სუბიექტისგან თანხმობას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე. აქვე აღსანიშნავია ისიც რომ კოლეჯის ყველა თანამშრომელი და (შესაბამისად ინფორმირებულები იქნებიან ახალი თანამშორმლებიც) პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ყოველთვის ინფორმირებულები არიან ვიდეოთვალთვალის განხორციელებაზე.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

დაწესებულების წარმომადგენლებთან მათ შორის IT მენეჯერთან გასაუბრებით (დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში) დასტურდება, რომ ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ოზურგეთის მისამართზე პერიოდულად ხდება IT ინფრასტრუქტურაში გამოყენებული მოწყობილობების (კომპიუტერები, სვიჩები, ქსელი, კამერები) გამართულად მუშაობის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამული გამართულობის უზრუნველყოფა, დაწესებულებას შტატით განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოების შესრულებას, რაც ასევე რეგულირდება დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის 04-4 ბრძანებით IT რისკების მართვის პოლიტიკა“ (თავი I - ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა).

<u>აღნიშნული ღონისძიებები IT მენეჯერის მიერ გატარებული იქნება გორაბერეჯაულის მისამართზეც, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში მისი შემოწმება ვერ მოხერხდა ჯერ არ განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე.</u>

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

დაწესებულებამ წარმოგვიდგინა დოკუუმენტები რომლის თანახმადაც დასტურდება რომ ის თანამშრომლობს ინტერნეტ სერვისის მომსახურებისათვის შპს „სქაიტელთან (Skytel)“, შპს „სქაიტელსა“ და კოლეჯ „ჰორიზონტს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც თარიღდება მიმდინარე წლის 7 აპრილით და ხელშეკრულების ვადა არის 2022 წლის 31 იანვრით განსაზღვრული. ***<u>გამომდინარე იქედან რომ წარმოების დროს დაწესებულების ახალ მისამართზე სამუშაო / სასწავლო პროცესი არ იყო წარმოებული და ასევე არ იყო ფართი აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსებით,</u>*** შესაბამისად ამ ინდიკატორის შემოწმება ვერ მოხერხდა.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

შესაბამისად, პერსონალის ინფორმირებას ხორციელდება ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით. სტუდენტებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომუნიკაციისათვის მასწავლებელთა მიერ გამოყენებულია შიდა სოციალური ქსელები, მაგრამ ამას აქვს სისტემატიზირებული ფორმა. გასაუბრებით დასტურდება რომ დაწესებულება ოზურგეთის მისამართზე სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, იყენებს სოციალურ ქსელს როგორც სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ ასევე თანამშრომლებთან, აქვთ ცალკეული საკომუნიკაციო ჯგუფები ინდივიდუალურად სხვადასხვა პროფესიის ჯგუფებთან და შესაბამისად სოცილაური ქსელის მსგავსი მიდგომით გამოყენება მოხდება ახალ მისამარტზეც განხორცილებული სამუშაო / სასწავლო პროცესების დროს. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის IT მენეჯერთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ***კოლეჯი გეგმავს დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ელ-ფოსტის მისამართების შექმნას, პროფესიული სტუდენტებისთვის ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბებას, რაც დასტურდება გასაუბრებით.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ა) დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის 04-4 ბრძანებით IT რისკების მართვის პოლიტიკა“ (თავი I - ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა).

ბ) დაწესებულების დირექტორის მიერ 2021 წლის 31 იანვრის 04-4 ბრძანებით დამტკიცებულია „IT რისკების მართვის პოლიტიკით“;

გ) ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;

დ) ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2020 წლის 20 ოქტომბრის 04-176 ბრძანებით განისაზღვრება „პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი“

ე) შესაბამისობის გეგმით;

ე) IT მენეჯერთან გასაუბრებით;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ საქმისწარმოება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული საქმისწარმოების წესის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის N04-275 ბრძანებით. საქმისწაროების წესის შემუშავების მიზანია კოლეჯში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

კოლეჯი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-ში. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება, როგორც ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, ასევე კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია ის დოკუმენტები, რომელთა დოკუმენტ ბრუნვა ხორციელდება მატერიალური სახით. გორაბერეჟაულის ფართზე ასევე ხელმისაწვდომი იქნება Eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ, „საქმისწარმოების წესის“ თანახმად პასუხისმგებელი პირი არის დაწესებულების მიერ დანიშნული საქმისწარმოებელი, ხოლო გორაბერეჟაულის მისამართზე საქმისმწარმოებლის ფუნქციას შეითავსებს სასწავლო პროცესბების მენეჯერი, რომელიც მიღებულ ინფორმაციას გადაამისამართებს ოზურგეთის მისამართზე არსებულ კოლეჯში და შესაბამისის აქტივობა განხორციელდება საქმისმწარმოებლის მიერ, მოთხოვნილი აქტივობის საჭიროებისსამებრ.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ 2018 წლის 29 აგვისტოს N40 /დ ბრძანებით დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია „პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულებების რეესტრში მუშაობის წესი“, რომლის თანახმადაც ასევე დაწესებულებას ჰყავს რეესტრზე პასუხისმგებელი პირი.კოლეჯის უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ***<u>დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დაასტურდება რომ საქმიანობა გავრცელდება გორაბერეჟაულის მისამართზეც, აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული წარმოების ფარგლებში სამუშაო პროცესები არ მიმდინარეობდა.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის No04-275 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მიხედვით კოლეჯი დროულად, დოკუმენტის გამომგზავნი დაწესებულებების მიერ განსაზღვრულ ან/და დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში, აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებსა და უკუკავშირს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ასევე სხვა კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ, „საქმისწარმოების წესის“ თანახმად პასუხისმგებელი პირი არის დაწესებულების მიერ დანიშნული საქმისწარმოებელი, ხოლო გორაბერეჟაულის მისამართზე საქმისმწარმოებლის ფუნქციას შეითავსებს სასწავლო პროცესბების მენეჯერი, რომელიც მიღებულ ინფორმაციას გადაამისამართებს ოზურგეთის მისამართზე არსებულ კოლეჯში და შესაბამისის აქტივობა განხორციელდება საქმისმწარმოებლის მიერ, მოთხოვნილი აქტივობის საჭიროებისამებრ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ა) დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის No04-275 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“;

ბ) ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ 2018 წლის 29 აგვისტოს N40 /დ ბრძანებით დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია „პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულებების რეესტრში მუშაობის წესით“

გ) დაწესებლების წარმომადგენლებითან გასაუბრებით;

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**
2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**
3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**
5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**
6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 22 ოქტობრის No04-168 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ რომლის მიხედვითაც ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში აქტიურად ხდება სიახლეების ატვირთვა კოლეჯში მიმდინარე პროცესების შესახებ და ასევე დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულია პირი რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობაზე.

კოლეჯი საზოგადოებათან შესაბამისის ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს კოლეჯის ელექტრონულ ფოსტას info@horizonti.ge და ოფიციალურ გვერდს www.horizonti.ge , სოცილაურ ქსელში გვერდს და სხვა. ვებგვერდი ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას და თვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს: ა)საკომუნიკაციო პლატფორმა და ბ) საინფორმაციო ფუნქცია. ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია, ამისთვის ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში, არსებობს სიტყვების ძებნის ფუნქციაც. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია: დაწესებულების სტრუქტურა; საგანამანთლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ანონსი ახალი პროგრამების შესახებ; დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები; ბიბლითეკის ელე.კატალოგი; და სხვა. აღსანიშნავია ასევე ისიც რომ დაწესებლების ვებგვერდზე არის ანონსი განთავსებული გორაბერეჟაულის ფართის დამატებასთან დაკავშირებით და ასევე იმ პროგრამების (მიმართულებების) შესახებ რომელიც იგეგმება რომ განხორციელდება მოცემულ მისამართზე.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულება არ ახორციელებს უცხოენოვან პროგრამებს, შესაბამისად ვებგვერდი ფუნქციონირებს მხოლოდ ქართულად. აღსანიშნავია რომ მისაში ასევე არაა განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 22 ოქტობრის No04-168 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის გათვალისწინებით დაწესებულება სიახლეების სახით უზრუნველყოფს ადეკვატური ინფორმაციის გავრცელებას ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში როგორც პროგრამების შესახებ, ასევე კოლეჯში მიმდინარე პროცესების შესახებ (სტუდენტური/ახალგაზრდული აქტივობები, დაწესებულება - სოციალური პასუხისმგებლობისთვის, პროფესიულ მსმენელთა რეგისტრაციის გამოცხადება, პროფესიულ სტუდენტთა წარმატებული ისტორიების და სხვა.).

დაწესებულების ვებგვერდზე დამატებით არის ინფორმაცია, რომ დაწესებულება გორაბერეჟაულის მისამართზე აპირებს საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რაც დაინტერესებულ მხარეს აძლევს საშუალებას მარტივი ნავიგაციის საშუალებით მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

დაწესებულებასშემუშავებულიაქვსკატალოგი, რომელიცგანთავსებულიაკოლეჯისოფიციალურვებგვერდზედამასშიაღწერილიაყველაისსაქმიანობა, რომელსაც კოლეჯი ახორციელებს ან /განახორციელებს; ინფორმაცია კოლეჯში მიმდინარე და ახალი საგანამანთლებლო პროგრამების შესახებ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები; სწავლის შედეგები; ინფორმაცია კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.საგანამანათლებლო კატალოგი განახლებულია 2021 წელს.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება ყოველწლირად და შესაბამისი ცვლილებების თანადროულად განაახლებს კატალოგს. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ კატალოგის განახლება ხდება ძირითადად ახალი პროგრამებბის დამატების და დროს თუმცა დაწესებულებაში საგანამანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული გარკვეული ცვლიელების განხორციელებისას, ინფორმაციის განახლება ხდება კატალოგშიც.

6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის „საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ“, კოლეჯში ხორციელდება სხვადასხვა საკომინიკაციო საშუალებებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივების, შენიშვნების ანალიზი. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისათვის, ასევე ხშირად დასმული შეკითხვების პასუხების აკუმულირდება ვებგვერდსა და ფეისბუქგვერდზე, რაც პერიოდულად ექვემდებარება განახლებას. ანალიზის პროცესს ორგანიზებას უკეთებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი შესაბამისი თანამშრომლების ჩართულობით. კოლეჯი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ა) დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 22 ოქტობრის No04-168 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით“;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით; გ) დაწესებულების ვებგვერდით;

დ) დაწესებულების ფეისბუქგვერდით;

ე) დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი;

თარიღი 1/06/2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: